ივანე ჯავახიშვილის სხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია/ Philology of Middle Ages Christian East

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:

1) ქართული ფილოლოგია
2) სომხური ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Philology
სპეციალობა: ქართული ფილოლოგია/სომხური ფილოლოგია Georgian Philology/ Armenian Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამა – მოიცავს 120 ECTS კრედიტს.

- **30 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს.
- **30 ECTS კრედიტი** განკუთვნილია პროგრამის თითოეული მოდულის (შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია, შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია) სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის.
- **30 ECTS კრედიტი** განკუთვნილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. არჩევითი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი საგნის არჩევა როგორც საკუთარი სპეციალობის, ისე მონათესავე პროფილის სამაგისტრო პროგრამებიდან.
- **30 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი სამაგისტრო პროგრამა "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" გარკვეულწილად აგრძელებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამებს. იგი მოამზადებს ფილოლოგიის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, თეოლოგიური, ფილოსოფიური კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრს შუა საუკუნეების სამწერლობო კულტურის კვლევებისთვის.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთი კვლევის ტრადიციული ობიექტია ქრისტიანული დასავლეთისათვის. ამ მიმართულებით არსებული ინტერესის სუბსიდირებას სხვა მიზეზებთან ერთად პოლიტიკური მოტივი – საერთო ძირების ძიება განაპირობებდა, რაც მომავალი პოლიტიკური თუ კულტურული ერთობის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

საქართველოსადმი, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაწილისადმი ინტერესი ამ კუთხით სხვადასხვა ინტენსივობით იღვიძებდა ხოლმე, მაგრამ ქართული ქრისტიანული კულტურის კვლევა უმეტესად სირიულის ან სომხურის პრიმატით ვითარდებოდა. მიზეზი ამისა იყო ერთი მხრივ, კვლევის ობიექტური სირთულეები, მეორე მხრივ კი ის, რომ ქართული ქრისტიანული კულტურის პოპულარიზაცია არ იდგა სათანადო დონეზე თავად ქართველთა მხრიდან, თავად შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურა იყო საქართველოში არასაკმარისად აღწერილი და შესწავლილი.

ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს ისტორია, კულტურა, მისი მწერლობა აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს წიაღში ჩაისახა და განვითარდა. შესაბამისად, გამორიცხულია შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული პრობლემების სრულფასოვანი კვლევა მისი სასიცოცხლო გარემოს გათვალისწინების გარეშე.

ამგვარად, **შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს ფილოლოგიის მაგისტრს შუა საუკუნეების სამწერლობო კულტურის კვლევებისთვის ორი მიმართულებით: შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია და შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია. საკმაოდ ფართო თემატიკა, კვლევის დიდი პერსპექტივა მისცემს მაგისტრს კონკრეტულ ცოდნას, კვლევის მეთოდიკას, მუშაობის ტექნიკას, კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და აბსტრაჰირების უნარს.

კონკრეტული საკვლევი თემების ფართო სპექტრში განხილვა კიდევ ერთხელ გამოყოფს და გახაზავს კულტურულ ტიპოლოგიებს, მსგავსებებსა და განსხვავებებს, გავლენებს, ინტეგრაციასა და სეპარაციას შუა საუკუნეების ქრისტიანულ ცივილიზაციაში. იმ პირობებში, როდესაც აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყარო დღესაც სირიულისა და სომხურის პრიმატით შეისწავლება, ამ სივრცეში ქართული კულტურის თავისთავადობისა თუ ინტეგრირებულობის კვლევა ქართველოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. მოცემული სამაგისტრო პროგრამის მიზანია ამ ამოცანის განხორციელება კონკრეტული თემის – ფილოლოგიური საქმიანობის, როგორც ინტეგრაციისა და კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების – შესწავლის გზით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია გააცნოს მაგისტრანტს "ლინგვა ფრანკა"-სა და ნაციონალური ენების ურთიერთმიმართება შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთში, დაანახოს გზები, რომლითაც ვითარდებოდა ნაციონალური მწერლობა დიგლოსიის პირობებში.
გააცნოს მას შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სააზროვნო ინტერესები და დაანახოს მსგავსი და განსხვავებული პრიორიტეტები ამ ინტერესებს შორის არჩევანის გაკეთებისას ცალკეულ ქვეყნებში.
გაარკვიოს იგი შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის ერთი ნაწილის – მწიგნობრობის (ფილოლოგიის) ისტორიაში და შეასწავლოს ფილოლოგიური კვლევის მეთოდები ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე.
აჩვენოს თარგმანის როლი შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში: თარგმანი, როგორც კულტურული ტრანსფერის მამოძრავებელი ძალა, თარგმანი, როგორც სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საფუძველი.
ამავე დროს, სამაგისტრო კურსის მიზანია თსუ-ში საფუძველი ჩაუყაროს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის კომპარატივისტული კვლევის ერთ მსხვილ სფეროს, რომელიც გააერთიანებს შუა საუკუნეების ფილოლოგიური და მთარგმნელობითი ტრადიციების კვლევას და განზოგადდება მედიევისტიკის კულტუროლოგიური პარალელების კვლევებამდე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" მასში ჩართული აკადემიური რესურსით,

სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებით ი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მის დარგებსა და ქვედარგებში, აგრეთვე ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში, მაგალითად რეგიონმცოდნეობაში, კულტურის კვლევებში და სხვ.
- საერთო სამაგისტრო გამოცდა (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად)
- უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით)
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა, რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე ტარდება მოდულების მიხედვით, ცალ-ცალკე: **შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგიის მოდულისთვის** სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება ძველ ქართულ ფილოლოგიაში; **შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგიის მოდულისთვის** სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება ძველ სომხურ ენაში.

სწავლის შედეგები:

სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი იქნება ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ექნება დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები, შეეძლება დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს ექნება კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლება მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ექნება ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" ერთიანი სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

ცოდნა-გაცნობიერება:

- სამაგისტრო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი შეიძენს ღრმა ცოდნას შუა საუკუნეების სხვადასხვა სამწერლობო ენისა (განს. ძვ. ქართული და ძვ. სომხური). სტუდენტს ექნება ძვ. ქართული, ძვ. ბერძნული და ძვ. სომხური ენების ცოდნა, დაუფლებულია ფილოლოგიური კვლევების მეთოდებს, იცნობს შუა საუკუნეების სააზროვნო პროცესებს და კონკრეტულ ცოდნებზე დაყრდნობით, წყაროებზე დაყრდნობით შეუძლია სხვადასხვა ფილოლოგიური, ფილოსოფიური და თეოლოგიური პრობლემების ანალიზი და მათი კონცეპტუალური შეფასება.
- იცის ძველი სომხური და ძველი ქართული ენების აღწერითი გრამატიკის სრული კურსი. სამეცნიერო დონეზე ფლობს როგორც სომხურს, ისე შესატყვის ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას, ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებსა და სათანადო ლიტერატურას.
- პირველწყაროებზე დაყრდნობით შეისწავლის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლობას. იცის და ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა და ძველი ქართული სამწერლობო კერების ისტორია, სასულიერო მწერლობის დარგები და მათთან დაკავშირებული საკითხები
- კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გაეცნობა ფართო სპექტრს შუა საუკუნეების ფილოლოგიური საქმიანობისა.
- გაეცნობა ტექსტის ჰერმენევტიკის, კოდიკოლოგიის, ტექსტოლოგიური კრიტიკისა და თარგმანმცოდნეობის ზოგად და სპეციფიკურ სფეროებს, პრაქტიკულად შეძლებს ავტორისა თუ ჟანრის სტილისტიკაში გარკვევას.
- დაეუფლება ფილოლოგიური კვლევის მეთოდებს და მათ სწორ გამოყენებას კონკრეტულ მასალასთან მიმართებაში.
- აქვს ტექსტოლოგიის საფუძვლების ცოდნა. ფლობს ძველი სომხური და ქართული ტექსტების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის ხერხებს. იცის შესაბამისი ტერმინოლოგია და ხელნაწერთა აღწერის პრინციპები. ერკვევა ქართულიდან სომხურად და პირიქით, სომხურიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების სპეციფიკაში
- იცის ქართული და სომხური ეპიგრფიკისა და პალეოგრაფიის მთავარი პრობლემატიკა. აქვს ეპიგრაფიკული ძეგლების ფიქსაციისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტერმინოლოგიის ცოდნა. იცნობს სომხურ და ქართულ ხელნაწერთა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლთა დათარიღების, გაშიფრვისა და თარგმნის ხერხებს.
- აქვს სომხეთის ეკლესიის ისტორიის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების ცოდნა. შეუძლია კავკასიის რეგიონში სომხეთის ეკლესიის როლის მეცნიერულად სწორად გაცნობიერება. იცის ქრისტიანული კავკასიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, ალბანეთი) საერთო, სამიჯნო პრობლემატიკა. შეუძლია კავკასიის რეგიონში სომხეთისა და საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და კულტურის ადგილის მეცნიერულად სწორად გააზრება.
- ცალკეული კურსის გავლის პროცესში, როგორც სასწავლო მასალის ათვისებისა და დამუშავების საშუალებას, მაგისტრანტი შეისწავლის და გაიწაფება ტექსტის დამუშავების სხვადასხვა კომპუტერული პროგრამების მოხმარებაში (Microsoft Word, Bible Work for Windows, Musaios, Work Place, Word Cruncher, ლეჟავას საძიებო პროგრამა, "ქორის თვალი", მონაცემთა ბაზები - TLG, Titus DatenBank).

- მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- მაგისტრანტი შეძლებს სხვადასხვა ეპოქის სააზროვნო, რელიგიური და კულტურული ორიენტირების განსაზღვრას და ცალკეული სკოლისა თუ მთარგმნელის ინდივიდუალური და ზოგადი ნიშნების ამოცნობას.
- შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის სამწერლობო ძეგლების ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლა მას სავსებით მოამზადებს **ძვ. ქართული // სომხური ენის, ქართული // სომხური ენის ისტორიის და ქართული // სომხური სალიტერატურო ენის სპეციალისტად.**
- მაგისტრატურაში მიღებული კვალიფიკაცია საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, იმუშაოს მომიჯნავე დარგებშიც.
- შეეძლება გამოსაცემად მოამზადოს შუა საუკუნეების ქართული // ბერძნული // სომხური ტექსტები და სხვადასხვა კუთხით (სამეცნიერო თემატიკა იხ. ზემოთ) იკვლოს იგი.
- სწავლების დროს ელექტრონული გამოცემების, საძიებო და ტექსტის დამუშავების ელექტრონული პროგრამების გამოყენება კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენოს ეს ცოდნა ტექსტების გამოცემის, მონაცემთა ბაზების, ინდექსებისა და საძიებლების შექმნისათვის, შეძლებს რთული სამეცნიერო გამოცემების ელექტრონულ მომზადებას.
- მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად განაგრძოს კვლევითი სამუშაო, გაერკვეს იმ ლიტერატურულ, ისტორიულ, კულტურულ პროცესებში, რომლებიც შუა საუკუნეებიდან იღებენ სათავეს და იხელმძღვანელოს მათით.
- მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი:

მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი:
მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.
მაგისტრს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

სწავლის უნარი:
მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; ენების სწავლის, ტექსტზე მუშაობის და მეორადი ლიტერატურის დამუშავების გამოცდილება მაგისტრანტს გაუადვილებს სწავლის შემდგომ საფეხურებზე საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ღირებულებები:
მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
სწავლის შედეგების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამა "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №77/2011 25.07.11 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, სამაგისტრო პროგრამის "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის" სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; ე) სასწავლო–კვლევით ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო–კვლევითი ნაშრომის დაცვას; ზ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ

და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.
სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

დასაქმების სფეროები:
სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეუძლია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში (გარდა აკადემიური თანამდებობებისა);
- საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და სხვა ფონდებში;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნული ბიბლოთეკისა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
- საქართველოს არქივებში;
- სასულიერო ტექსტების მთარგმნელებად;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით საქართველოს ან იმ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების დოქტორანტურაში, სადაც ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის სამაგისტრო პროგრამები და მიმართულებები.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი I.

სილაბუსები: იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფ. პროფ. ზ. ალექსიძე, ასოც. პროფ. ა. ხარანაული

დამატებითი ინფორმაცია:
კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (რომელსაც უმთავრესი ადგილი უჭირავს პროგრამაში) განხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ქართული ენის ინსტიტუტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არმენოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, აგრეთვე ხელნაწერთა ცენტრისა და გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებსა და ხელნაწერთა ფონდების გამოყენებით.
ქართული ენის ინსტიტუტის გრანტი:
სესფ-ის გრანტი NGNSF/STO06/2-038: "ძველქართულ-ბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური დოკუმენტირებული ლექსიკონი". პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. დ. მელიქიშვილი.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

ზაზა ალექსიძე _ სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
ანა ხარანაული - ასოცირებული პროფესორი

დარეჯან თვალთვაძე- ასოცირებული პროფესორი
მერაბ რობქიძე _ ასოცირებული პროფესორი
ლელი ბარამიძე ასოცირებული პროფესორი
მარიამ ნანობაშვილი - ასოცირებული პროფესორი

დამანა მელიქიშვილი - ემერიტუსი

ნათია ჩანტლაძე _ ისტორიის დოქტორი (მოწვეული მასწავლებელი)
დალი ჩიტუნაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი (მოწვეული მასწავლებელი)
მარინა მეფარიშვილი - ფილ. დოქტორი (მოწვეული მასწავლებელი)
თამარ ოთხმეზური - ფილ. დოქტორი (მოწვეული მასწავლებელი)
მაგდა მჭედლიძე - ფილოლ. მეცნ. კანდ.(მოწვეული მასწავლებელი)
და სხვ.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

სამეცნიერო კლევა ჩატარდება ძირითადად თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტისა და არმენოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელსაც აქვს ხუთი კომპუტერი, სამი პრინტერი, სკანერი, ქსეროასლების გადამღები აპარატი, ინტერნეტი. მუშაობის დროს მაგისტრანტს საშუალება ექნება გამოიყენოს ქართული ენის ინსტიტუტისა და აღმოსავლოეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკები, ხელნაწერთა ცენტრის ბიბლიოთეკები და ხელნაწერთა და ფოტოპირთა ფონდები, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა, პროფესორთა პირადი ბიბლიოთეკები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.